განმარტება „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის 11 სექტემბრის №01/5782 წერილში გაწერილ პირობასთან დაკავშირებით

მოგახსენებთ, რომ B6 და B7 შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმების გადაწყვეტილებით (ბრძანება №8165734, 17.11.2026), მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპისთვის განისაზღვრა პირობა: „გათვალისწინებულ იქნეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის 11 სექტემბრის №01/5782 წერილში გაწერილი პირობა“.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის 11 სექტემბრის №01/5782 თანხმობის წერილისა და მასზე თანდართული, კომპანიის შტამპით დამოწმებული გეგმარებითი ნახაზის სრული დაცვით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ოფიციალურად დარეგისტრირდა სერვიტუტის უფლება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სასარგებლოდ. სერვიტუტის საზღვრები და კონფიგურაცია ზუსტად შეესაბამება სატრანსპორტო კომპანიის მიერ შეთანხმებულ სქემას, რითაც სრულად არის უზრუნველყოფილი მეტროს გვირაბამდე მისასვლელი გზა.

რაც შეეხება №01/5782 წერილში მითითებულ მეორე დათქმას — კომპანიის კუთვნილი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს (25 მეტრის რადიუსში) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დეტალური პროექტისა და საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის თაობაზე — განვმარტავთ, რომ საპროექტო B6 და B7 შენობა-ნაგებობები მეტროს მიწისქვეშა ნაგებობიდან (გვირაბიდან) დაშორებულია 25 მეტრზე მეტი მანძილით (დაახლოებიოთ 85 მეტრით). ვინაიდან აღნიშნული ობიექტები არ ხვდება 25-მეტრიან ზემოქმედების ზონაში, B6 და B7 შენობების მშენებლობაზე არ ვრცელდება ზეგავლენის საექსპერტო შეფასების მომზადების მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის 11 სექტემბრის №01/5782 წერილით განსაზღვრული პირობა სრულად არის შესრულებული. გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი განმარტება და თანდართული დოკუმენტაცია მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

დანართი:

თბილისის სატრანსპორტო კომპანია
TBILISI TRANSPORT COMPANY

N 01/5782
11/09/2025

5782-01-2-202509110907

შპს „საქანელა დეველოპმენტის“ (ს.ნ.: 404718873)
დირექტორს გიორგი ჭიჭინაძეს

მის.: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რესპუბლიის მოედანი

ბატონო გიორგი,

თქვენი 2025 წლის 10 სექტემბრის წერილის (კომპანიაში რეგისტრაციის №5080/01; თარიღი: 10.09.2025) პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, საქანელას ქუჩის მიმდებარედ არსებული, სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (ს.კ.: 01.15.04.003.048) შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სასარგებლოდ, სერვიტუტის უფლებით დატვირთვის საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ თანახმაა, თქვენი 2025 წლის 10 სექტემბრის წერილზე თანდართულ გეგმარებით ნახაზზე მონიშნული ფორმით და კონფიგურაციით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სასარგებლოდ, სერვიტუტის უფლებით დატვირთოს სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი (ს.კ.: 01.15.04.003.048).

ასევე, გაცნობებთ, რომ კომპანიის კუთვნილი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს (25 მეტრის რადიუსში) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებელია წარმოადგინოთ: დეტალური სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაცია და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანიზაციის საექსპერტო დასკვნა, რომელიც დაადასტურებს, რომ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები და შემდგომში ობიექტის ექსპლუატაცია უარყოფით გავლენას არ მოახდენს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მფლობელობაში არსებულ მიწისქვეშა ნაგებობებზე.

დანართი: კომპანიის შტამპით დამოწმებული დოკუმენტი (გეგმარებითი ნახაზი).

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

ვაგზლის მოედანი #2, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 235 77 77; ფაქსი: (995 32) 293 41 41
www.ttc.com.ge

#2 Station Square, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 235 77 77; Fax: (995 32) 293 41 41
www.ttc.com.ge